დანართი N6

დარაჯის თანამდებობრივი ინსტრუქცია

1. ზოგადი დებულებანი

1. სკოლის დარაჯი სკოლის თანამშრომელია და ახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, “ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად.
2. სკოლის დარაჯი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, “ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს შრომის კოდექსის, შინაგანაწესით, ამ ინსტრუქციით, დირექტორის სკოლის ტერიტორიაზე სამოქმედოდ გამოცემული ბრძანებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.
3. სკოლის დარაჯს ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორი.
4. სკოლის დარაჯი ანგარიშვალდებულია დირექციისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის წინაშე.
5. სკოლის დარაჯი ვალდებულია შეასრულოს დირექციის ცალკეული დავალებები.
7. სკოლის დარაჯი ხელფასი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად.

2. სკოლის დარაჯის განათლება

ა) სკოლის დარაჯს უნდა ჰქონდეს საშუალო განათლება

3. სკოლის დარაჯის უფლებები და მოვალეობები

1. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სკოლის დარაჯი ასრულებს თავის მოვალეობებს ამ ინსტრუქციისა და მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად
2. სკოლის დარაჯი ვალდებულია:
2.1. სკოლაში გამოცხადდეს 17:30 სთ-ზე და დარჩეს დილის 08:30-მდე, ხოლო არდადეგებისა და სადღესასწაულო დღეებში შინაგანაწესით განსაზღვრული სამუშაო დროის შესაბამისად, ყოველდღიური საათობრივი ნორმატივის გათვალისწინებით;
2.2. დაიცვას სკოლის შინაგანაწესი;
2.3. ვალდებულია სამსახურეობრივი დავალების შესრულების დროს იყოს ადგილზე;
2.4. აკონტროლებდეს გასასვლელ კარებებს;
2.5. ჰქონდეს სკოლაში არსებული ყველა კარის გასაღები: დანომრილი, მხოლოდ მისთვის ხელმისაწვდომ ადგილას;
2.6. დირექციის გაფრთხილების გარეშე არ დართოს ნება უცხო პიროვნებას (ნებისმიერ დროს) იმყოფებოდეს სკოლის ტერიტორიაზე;
2.7. აკონტროლებდეს წყლისა და ელექტრო ენერგიის ხარჯვას;
2.8. პასუხისმგებელია სკოლის ეზოსა და შენობის დაცვაზე მისი მორიგეობის დღეებში.
2.9. ვალდებულია ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედების შემჩნევისთანავე სასწაფოდ აცნობოს პოლიციას და სკოლის დირექტორს.
2.10. ვალდებულია მისი მორიგეობის დროს სკოლისთვის მიყენებული ზარალი აანაზღაუროს მთლიანად.
2.11. ვალდებულია მისი მორიგეობის დღეებში სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისაგან გადაიბაროს და ჩაიბაროს სკოლას და ეს ფაქტი დაადასტუროს ხელის მოწერით. დანაკლისის შემთხვევაში შენიშვნის გრაფაში გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი.

4. დასკვნითი დებულება

1. ინსტრუქცია ამოქმედდეს მისი დამტკიცების დღიდან.
2. სკოლის დარაჯის თანამდებობრივი ინსტრუქციის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.